8730-09-3-2-201510261720

N 09-3/8730
26/10/2015

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორს

ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ 2015 წლის 28 ივლისიდან სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განაახლა მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ სამშენებლო სამუშაოები. ფონდის ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის[1] თანახმად, „პროექტის ფარგლებში გაკეთდება ახალი მეტროსადგური, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას გამზირიდან მეტროსადგურ „უნივერსიტეტამდე“. [...] პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს და მისი ღირებულება 83,000,670.45 ლარია. მეტროს მშენებლობა სამუშაოების დაწყებიდან 24 თვეში დასრულდება. [...] პროექტის ფარგლებში გაკეთდება არსებული გვირაბების რესტავრაცია საერთო სიგრძით 2,6 კმ. მშენებლობის ფარგლებში მოეწყობა სადგურის მიწისქვეშა და მიწისზედა შენობები, გაკეთდება მეტროდან ამოსასვლელები ვაჟა-

[1] იხილეთ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ–გვერდი: [http://www.mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=news/&id=1173], ბოლოს ნანახია: 21.10.2015

ფშაველას გამზირზე და სანდრო ეულის ქუჩაზე, ჯამში 4 ამოსასვლელი. გაკეთდება სალიანდაგო ხაზები, მოეწყობა ელექტრო ქვესადგური, ესკალატორები, სავენტილაციო და სადრენაჟე სისტემები, ასევე, სიგნალიზაციის მართვისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები. გაკეთდება სათადარიგო ამოსასვლელები. [...] ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ესპანურ-იტალიური ერთობლივი საწარმო „ASSIGNIA KOBRA“ ახორციელებს. მეტროსადგურის პროექტი ესპანურმა საკონსულტაციო კომპანია „ევროსტუდიომ“ მოამზადა. **პროექტს გავლილი აქვს ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ექსპერტიზა.** გარდა ამისა, პროექტი დამოუკიდებელმა იტალიელმა ექსპერტმაც შეაფასა. პროექტის დეტალები შეთანხმებულია თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან.“

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2015 წლის 29 ივლისის N09–1/6131 კორესპონდენციით გამოითხოვა ინფორმაცია მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის პროექტით ობიექტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის და უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინების თაობაზე.

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საპასუხო კორესპონდენციით[2] ირკვევა, რომ **მეტროსადგური „უნივერსიტეტის“ მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპი მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული არ არის.** ფონდის ინფორმაციით, პროექტი ითვალისწინებს დამატებითი სათადარიგო ამოსასვლელი შახტის მშენებლობას, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მეტროსადგურ „უნივერსიტეტში“ დამონტაჟდეს ადაპტირებული ამოსასვლელი (სათანადო კონსტრუქციული ცვლილებების განხორციელებით). წერილის თანახმად, ფონდს შეზღუდული აქვს საბჭოთა პერიოდის ნორმების შესაბამისად უკვე აშენებული გვირაბების და სხვა ნაგებობების კონსტრუქციისა და გეომეტრიული პარამეტრების შეცვლა. კორესპონდენციაში ასევე აქცენტი კეთდება თბილისის მეტროს სხვა სადგურების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მიუწვდომლობაზე და მათი ადაპტირებისთვის საჭირო მოწყობილობების და ნაგებობების ძვირადღირებულობაზე.

არსებული სამგზავრო ტარიფების გათვალისწინებით, თბილისის მეტრო მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, გადაადგილების ყველაზე ხელმისაწვდომი (ფინანსურად) საშუალებაა. ამ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო საშუალებას წლის განმავლობაში დაახლოებით 96 მილიონი მგზავრი გადაჰყავს.[3] თუმცა ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ის აბსოლუტურად მიუწვდომელია. მეტროთი მგზავრობა პრობლემატურია სხვა ფიზიკური შეზღუდვის, ასევე უსინათლო მგზავრებისთვის, მათ საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო.

სამართლებრივი დასაბუთება

მისაწვდომობის უფლების რეალიზება, მისი პრაქტიკული განხორციელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვანი ცხოვრების უზრუნველყოფის ერთ–ერთი

---

[2] 2015 წლის 7 აგვისტოს N1981–გ წერილი

[3] მონაცემი ეყრდნობა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის 2013 წლის ანგარიშს, გვ.61, ხელმისაწვდომია: [http://ttc.com.ge/files/pdf/2013%20annual%20report/Report-Geo2013.pdf]

ფუნდამენტური პირობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია მათ მიერ ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილად სარგებლობა.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, რომელიც საქართველოში ძალაში შევიდა 2014 წლის აპრილიდან, მიზნად ისახავს უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულყოფილი და თანასწორი სარგებლობა და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემა. კონვენციის მე–9 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა მიმართოს ყველა შესაბამის ზომას, რათა ფიზიკური გარემოს, კომუნიკაციის, ინფორმაციის თუ მომსახურებების მისაწვდომობასთან ერთად უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობა სატრანსპორტო საშუალებებსა და ინფრასტრუქტურაზე. აღნიშნული ზომები მოიცავს არსებული წინააღმდეგობებისა და ბარიერების გამოვლენა–აღმოფხვრას, ასევე შენობა–ნაგებობების, გზების, ტრანსპორტის, შიდა და გარე ობიექტების ადაპტირებას.

მისაწვდომობა კონვენციით გარანტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებების და თავისუფლებების შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად, ტრანსპორტზე მისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ამ უფლებების რეალიზებას, საზოგადოებაში ჩართულობას და ხდება მათი დისკრიმინაციის საფუძველი.[4]

ფიზიკური გარემოს, მათ შორის, ტრანსპორტის მისაწვდომობის უზრუნველყოფას სახელმწიფოს შიდა საკანონმდებლო რეგულაციებიც ავალდებულებს. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა, მათ შორის, აეროპორტების, რკინიგზის სადგურების, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებათა კომპლექსებისა და კომუნიკაციების, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ინდივიდუალური საშუალებების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.[5]

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 6 იანვარს N41 დადგენილებით დაამტკიცა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი“, რომელიც აწესებს საზოგადოებრივი სივრცის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი ფორმით მოწყობის ტექნიკურ მახასიათებლებს. დადგენილების მე–2 და მე–3 მუხლების შესაბამისად, აშენებული და მშენებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები მოყვანილი უნდა იქნეს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, მისი ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში. ხოლო იმ საზოგადოებრივ ობიექტებზე, რომლებზედაც დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ტექნიკური რეგლამენტის ძალაში შესვლამდე, საპროექტო დოკუმენტაცია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურის დასრულებამდე.

---

[4] Technical Paper on Accessibility and the United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities *„FOR AN INCLUSIVE AND ACCESSIBLE SOCIETY FOR ALL “,* Background document for the United Nations Expert Group Meeting on Accessibility, Washington, DC, 28 - 30 June 2010, United Nations, 2011, p. 14, [http://www.un.org/disabilities/default.asp?id=1537]

[5] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8, იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/30316];

რეგლამენტის თანახმად, საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების პროექტირებასა და მშენებლობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ის მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ამ პირობების შესასრულებლად საჭიროა მოეწყოს შედარებით განიერი გასასვლელები, დერეფნები, პანდუსები შენობა-ნაგებობების შესასვლელებში, ლიფტები ფართო კაბინებით. შენობა-ნაგებობების დაპროექტება მიზანშეწონილია განხორციელდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით. ხოლო რეკონსტრუქციის შემთხვევაში, როცა არსებული შენობა-ნაგებობები არ იძლევა შესაძლებლობას მთლიანად გათვალისწინებულ იქნეს არსებული მოთხოვნები, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც **მაქსიმალურად უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მოხუცებულთათვის შესაფერისი გარემოს შექმნას.**[6]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოს დაპროექტებისა და მოწყობისას უნივერსალური დიზაინის გამოყენებასთან. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე–4 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს ან ხელი შეუწყოს უნივერსალური დიზაინის მქონე პროდუქტის, მომსახურების, დანადგარებისა და მოწყობილობების გამოყენებასა და მისაწვდომობას.

„უნივერსალური დიზაინი“ გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების გარეშე. უნივერსალური დიზაინი არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების გამოყენებას.[7]

უნივერსალური დიზაინი გამოიყენება ცხოვრების ყველა სფეროში და ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: სამართლიანი/თანაბარი გამოყენების შესაძლებლობა, მოქნილობა, სიმარტივე, აღქმადობა, ტოლერანტულობა, მინიმალური ფიზიკური ძალისხმევა, მისადგომად/გამოსაყენებლად საჭირო სივრცის არსებობა. მისი გამოყენების მნიშვნელობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ **უნივერსალური დიზაინი არის ხარჯეფექტური მიდგომა, რომელიც ყველა მომხმარებლის საჭიროებას დაპროექტების საწყის ეტაპზევე ითვალისწინებს და გამორიცხავს შემდგომ დანახარჯებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გარემოს ადაპტირებისთვის.**[8]

დასკვნა

სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ დედაქალაქში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას სხვების თანასწორად ისარგებლონ ფინანსურად ყველაზე ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებით – თბილისის მეტროთი, რის გამოც ისინი სხვა პირებთან შედარებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან. სახელმწიფო არ ზრუნავს საკითხის კომპლექსურ გადაწყვეტაზე – არსებული მეტროსადგურების ინფრასტრუქტურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებაზე. უფრო მეტიც, ახალი მეტროსადგურის მშენებლობის პროცესში, ხელისუფლება არ გეგმავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების

---

[6] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი“, დამტიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით, მუხლი 1, იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2186893];

[7] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენცია, მუხლი 2;

[8] Technical Paper on Accessibility and the United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities *„FOR AN INCLUSIVE AND ACCESSIBLE SOCIETY FOR ALL “,* Background document for the United Nations Expert Group Meeting on Accessibility, Washington, DC, 28 - 30 June 2010, United Nations, 2011, p. 8, [http://www.un.org/disabilities/default.asp?id=1537]

გათვალისწინებას, რაც მათი უფლებების დარღვევასთან ერთად, გამოიწვევს სამომავლოდ დამატებითი რესურსის ხარჯვას მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ ინფრასტრუქტურის ადაპტირებისთვის.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, მისი დებულებების შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერი, განსაკუთრებით კი, ახალი/განახლებული შენობა–ნაგებობის, ტრანსპორტისა თუ კომუნიკაციის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპების მაქსიმალური გამოყენებით. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საერთაშორისო ხელშეკრულების პირობების დარღვევას, ადამიანის ძირითადი უფლებების უგულებელყოფას და ვერ გამართლდება ტექნიკურ ან/და ფინანსურ პრობლემებზე მითითებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, უზრუნველყოთ მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის პროექტით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების და „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპის გათვალისწინება და მეტროსადგურის ყველა კომპონენტის (მიწისქვეშა და მიწისზედა შენობები, მეტროდან ამოსასვლელები, ესკალატორები და სხვ.) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მისაწვდომობა.

გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

უჩა ნანუაშვილი

სახალხო დამცველი

.